



საქართველო
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 27 54

08/08/2018

ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 46-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:


1. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო - სააგიტაციო მასალების რეგულირებასთან დაკავშირებით:

- ა) საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოიყოს ადგილები დანართის შესაბამისად;
- ბ) ამ განკარგულების დანართით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების გარდა საარჩევნო-სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს კერძო საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში;
- გ) საარჩევნო - სააგიტაციო მასალების განთავსება აკრძალულია ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, სასამართლოს, პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე;
- დ) ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით;
- ე) ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას საარჩევნო პლაკატი შემდეგი ზომებით: სიგრძე არა უმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი);
- ვ) ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა ერთ საარჩევნო სუბიექტზე განისაზღვროს 3 ცალით.
- ზ) ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსებისთვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნება ადგილობრივ

ბეჭდვით ორგანოებში და ვანის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე ვანის საოლქო საარჩევნო კომისიისთვის გადაცემა.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს გიორგი ივანიაძეს.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N1).

გიორგი ივანიაძე



საკრებულოს თავმჯდომარე - მ.შ.

ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების

განთავსებისთვის გამოყოფილი ადგილები

ადმინისტრაციული ერთეული	საარჩევნო უბანი	საარჩევნო უბანში მდებარე ობიექტები, რომლებზეც შესაძლებელია სააგიტაციო მასალების განთავსება	შენიშვნა
ქალაქი ვანი	N54.53.01 ვანის ქალაქის N54.53.02 ვანის ქალაქის N54.53.03 ვანის ქალაქის	-ქალაქის ტერიტორიაზე არსებული მგზავრთა მოსაცდელელები; -გარე განათების ბიძებები; -ერისთავის ქუჩაზე არსებული ყოფილი ბიბლიოთეკის შენობა; -თავისუფლებების ქუჩაზე მდებარე ცენტრალური სტადიონის წინ არსებული კედელი;	
ამაღლების თემი	N54.53.04 ამაღლების N54.53.05 ინაშაურის	-თემში არსებული მგზავრთა მოსაცდელელები; -გარე განათების ბიძებები;	
ბზვანის თემი	N54.53.06 ბზვანის N54.53.26 ბაძგის	-თემში არსებული მგზავრთა მოსაცდელელები; -გარე განათების ბიძებები;	
გადიდის თემი	N54.53.07 გადიდის	-თემში არსებული მგზავრთა მოსაცდელელები; -გარე განათების ბიძებები;	
გორას თემი	N54.53.08 გორას N54.53.27 ზედა გორას	-თემში არსებული მგზავრთა მოსაცდელელები; -გარე განათების ბიძებები;	

დიხაშხოს თემი	N54.53.09 დიხაშხოს N54.53.28 ისრითის	-თემში არსებული მგზავრთა მოსაცდელეები; -გარე განათების ბოძეები; -კოოპერატივ „დიხაშხოს“ ყოფილი შენობა;	
ზედა ვანის თემი	N54.53.10 ზედა ვანის	-თემში არსებული მგზავრთა მოსაცდელეები; -გარე განათების ბოძეები;	

ზეინდრის თემი	N54.53.11 ზეინდრის N54.53.29 შუაგორას	-თემში არსებული მგზავრთა მოსაცდელეები; -გარე განათების ბოძეები;	
მუქედის თემი	N54.53.12	-თემში არსებული მგზავრთა მოსაცდელეები; -გარე განათების ბოძეები;	
სალომინაოს თემი	N54.53.13 სალომინაოს	-თემში არსებული მგზავრთა მოსაცდელეები; -გარე განათების ბოძეები;	
სალხინოს თემი	N54.53.14 სალხინოს N54.53.30 გაღმა სალხინოს	-თემში არსებული მგზავრთა მოსაცდელეები; -გარე განათების ბოძეები; -ყოფილი კოლმეურნეობის ბოძეები;	
საპრასიის თემი	N54.53.15 საპრასიის	-თემში არსებული მგზავრთა მოსაცდელეები; -გარე განათების ბოძეები;	

სულორის თემი	N54.53.16 სულორის	-თემში არსებული მგზავრთა მოსაცდელეები; -გარე განათების ბოძები;	
ტობანიერის თემი	N54.53.17 ტობანიერის N54.53.18 მიქელეფონის	-თემში არსებული მგზავრთა მოსაცდელეები; -გარე განათების ბოძები;	
უხუთის თემი	N54.53.19 უხუთის	-თემში არსებული მგზავრთა მოსაცდელეები; -გარე განათების ბოძები;	
ფერეთას თემი	N54.53.20 ფერეთას	-თემში არსებული მგზავრთა მოსაცდელეები; -გარე განათების ბოძები;	
ყუმურის თემი	N54.53.21 ყუმურის	-თემში არსებული მგზავრთა მოსაცდელეები; -გარე განათების ბოძები;	
შუამთის თემი	N54.53.22 შუამთის N54.53.31 ჭყვიშის	-თემში არსებული მგზავრთა მოსაცდელეები; -გარე განათების ბოძები;	
მთისძირის თემი	N54.53.23 მთისძირის	-თემში არსებული მგზავრთა მოსაცდელეები; -გარე განათების ბოძები;	

ციხესულორის თემი	N54.53.24 ციხესულორის	-თემში არსებული მგზავრთა მოსაცდელეები; -გარე განათების ბოძები;	
ძულუხის თემი	N54.53.25 ძულუხის	-თემში არსებული მგზავრთა მოსაცდელეები; -გარე განათების ბოძები;	